50

# უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრის წინ

თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, მონღოლეთის, პოლონეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის მთამსვლელები მიიღებენ მონაწილეობას კომუნიზმის პიკის (7495 მ) დალაშქვრაში, რაც 5 ივლისიდან 4 აგვისტომდეა ნავარაუდევი. პამირის მთიანეთში ეს მასობრივი ასვლა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნება.

საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს მწვერვალზე ასვლას ყოველი მოკავშირე რესპუბლიკიდან ოთხი, ხოლო უცხოეთის ყოველი სახელმწიფოდან ხუთი მთამსვლელი აპირებს. მწვერვალზე ისინი დადგამენ სსრ კავშირის სახელმწიფო გერბს, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ასვლაში მონაწილე ქვეყნების ალმებს.

საბაზო ბანაკი ტაჯიკეთის ტერიტორიაზე, ფორტამბეკის ყინვარის სათავეებში (3900 მ) მოეწყობა. ალპურვილობასა და სანოვაგეს იქ დუშანბედან შვეულმფრენებით გადაისვრიან.

სპორტსმენთა მომზადებას ერთ-ერთი გამოცდილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. აბალაკოვი ხელმძღვანელობს. სწორედ იგია დანიშნული ალპინიადის უფროსად. სხვათა შორის, ვიტალი აბალაკოვის ძმამ ევგენიმ პირველმა დაიპყრო კომუნიზმის პიკი 1938 წელს.



1 ივნისს ბარნაულში სტარტი აიღეს ალტაის ველოსიპედისტებმა, რომლებსაც ერთი თვის შემდეგ მოსკოვში ექნებათ ფინიში. ველოგადარბენის მონაწილენი შვიდ საკავშირო დამკვრელურ მშენებლობას ეწვევიან, შეხვდებიან სხვადასხვა ქალაქის მშრომელებს. ეს მეორე გადარბენაა ალტაის სოფლის ველოსიპედისტთა ისტორიაში. პირველი ასეთი ღონისძიება 1935 წელს მოეწყო და „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსს ეძღვნებოდა. ახალი გადარბენა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავსა და ახალ ფიზკულტურულ კომპლექსს ეძღვნება. ათი სპორტსმენისგან შემდგარ გუნდს ხელმძღვანელობს „კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტი დ. გორბუნცოვი.

ს უ რ ა თ ზ ე: გადარბენის მონაწილენი გზაში.

ე. ლოგვინოვის ფოტო. (საქინფ).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 115 (4625)

1972 წ. 14 ივნისი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# უბერას თასი ტოკიოში დარჩა

ტოკიო, 13 ივნისი. უბერას თასი ჰგავს გლობუსს, რომლის „ჩრდილოეთ პოლუსზე" ბადმინტონისტი ქალის ფიგურაა გამოსახული. სწორედ ეს ჯილდო კვლავ ტოკიოში დარჩა სამი წლით — ქალთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატამდე. აქ დამთავრებული VI ჩემპიონატის ფინალში იაპონელებმა ანგარიშით 6:1 სძლიეს ინდონეზიის ნაკრებს.

სენდაგაიის დარბაზში მოსული 10 ათასი მაყურებელი მოჯადოებული შესცქეროდა იაპონელი და ინდონეზიელი ბადმინტონისტი ქალების შთამბეჭდავ „სპექტაკლს". შეხვედრის დასაწყისმა ერთგვარად შეაკრთო იაპონელთა გუნდი: მისმა დებიუტანტმა, 22 წლის ტაკასაკამ ერთეულთა თანრიგის მატჩი წააგო ინტანთან — 1:2. მაგრამ ეს იყო ინდონეზიელთა ერთადერთი წარმატება.

ანგარიში გაათანაბრა იუკიმ, რომელმაც ტატის სძლია. მერე იაპონიის ნაკრების კაპიტანმა საკაიამამ ბრწყინვალე სტილში დაამარცხა უტამი. წყვილთა თანრიგში აიძავა — ტაკენაკამ და ნაკაიამა — იუკიმ ფარ-ხმალი დააყრევინეს ინდონეზიელთა დუეტებს (ინტანი — რეჯინა, რენტო — პოპი).

ფინალის გზაზე ვერცხლის პრიზიორებმა ერთნაირი ანგარიშით (7:0) დაამარცხეს კანადისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები, ხოლო იაპონელებმა ასეთივე ანგარიშით — დანიის გუნდი.

> **დღეს**
>
> ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კლუბში (ტელმანის ქ. № 8) გაიმართება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს VII პლენუმი.
>
> დასაწყისი 12 ს.

> **[illegible]**
>
> ამას წინათ ლვოვში დამთავრებულ შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატში მოსკოველმა ტყვიის მსროლელმა ლ. იაკუნინმა სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა „გაქცეულ ირემზე" სროლაში: 25 ორმაგი გასროლის ჯამში მან 239 ქულა დააგროვა 250-დან. ეს შედეგი ქულით აღემატება ძველ მიღწევას.
>
> **სროლა**



მოსწავლეთა რესპუბლიკური...

# თბილისელთა უპირატესობით

წყალბურთელთა ტურნირი დამთავრდა. ბოლო ტურში თბილისელებმა დაამარცხეს აჭარის ნაკრები — 7:0, ხოლო ქუთაისელებმა — აფხაზეთის კოლექტივი — 10:2. I ადგილი დაიკავეს თბილისელებმა (6 ქულა), II — ქუთაისელებმა (4). III ადგილზეა აჭარის ნაკრები (2), IV — აფხაზეთის გუნდი (0).

ფრენბურთელთა ტურნირები უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის დამთავრდა. ბოლო ტურის შედეგები ასეთია: გ ო გ ო ნ ე ბ ი. აფხაზეთი — აჭარა 3:0, თბილისი — სამხრეთ ოსეთი 3:0, გარდაბანი — წყალტუბო 3:2, გორი — ქუთაისი 2:3; ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. თბილისი — ქუთაისი 3:0, აფხაზეთი — რუსთავი 3:0, სამხრეთ ოსეთი — აჭარა 3:0. როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმეს თბილისელებმა. II ადგილები წილად ხვდათ აფხაზეთის წარმომადგენლებს, III — სამხრეთ ოსეთის გუნდებს.

# ტაქტიკაში მოიკოჭლებენ

უფროსი ასაკის კალათბურთელთა ტურნირების ბოლო დღეს შედეგები ასეთი იყო: გ ო გ ო ნ ე ბ ი. ქუთაისი — აფხაზეთი 46:63 (20:32), ჭიათურა — სამტრედია 84:90 (32:45), აჭარა — თბილისი 49:59 (17:26); ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. ქუთაისი — რუსთავი 78:57 (37:22), სამტრედია — თბილისი 52:120 (23:57), აჭარა — აფხაზეთი 84:73 (40:42). გ ო გ ო ნ ა თ ა შორის ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. თბილისი (5 ქულა), 2. სამტრედია (4), 3. აჭარა (3), 4. ჭიათურა (2), 5. აფხაზეთი (1), 6. ქუთაისი (0); ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. 1. თბილისი (5), 2. ქუთაისი (4), 3. რუსთავი (3), 4. აჭარა (2), 5. აფხაზეთი (1), 6. სამტრედია (0).

თბილისელმა გოგონებმაც (მწვრთნელი გ. ბაპახანიძე) და ჭაბუკებმაც (ლ. ინწკირველი) ყველა მატჩი მოიგეს და, ბუნებრივია, პირველობაც გაინაღდეს. საერთოდ, ამჯერად ყველა კოლექტივი უკეთ მომზადებული იყო, ვიდრე წინა წლებში. როგორც ჩანს, ადგილებზე უფრო სერიოზულად ეკიდებიან ბავშვთა კალათბურთის დანერგვას. რაც მთავარია, ამაღლდა ნორჩი სპორტსმენების ტექნიკური მომზადების დონე. ამიტომ იყო, რომ მატჩების უმეტესობა დაძაბულად წარიმართა და გამარჯვების ბედი ხშირად ბოლო წუთებში წყდებოდა. სასიხარულოა, რომ გოგონათა ტურნირში II ადგილი სამტრედიის ნაკრებმა დაიკავა. ეს მოწმობს კალათბურთის „გეოგრაფიის" გაფართოებას და ამტკიცებს, რომ რესპუბლიკის გუნდებს შორის თანდათან ისპობა ზღვარი. სამტრედიელებმა ოთხივე მატჩი მცირე სხვაობით მოიგეს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი მეტოქეებიც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. ჭაბუკთა შეჯიბრებაში II ადგილი ქუთაისელებს ხვდათ. მეტოქეებთან ბრძოლაში მათაც დიდი ჯაფა დაადგათ.

კალათბურთელთა ტურნირში ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოდიოდა, რომელთაგანაც რესპუბლიკის ნაკრები გუნდები უნდა დაკომპლექტდეს. სამწუხაროდ, შეჯიბრების მონაწილეთა შორის ძალიან ცოტა იყო მაღალი ტანის კალათბურთელი. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ რაიონების გუნდები ტაქტიკური მომზადების მხრივ აშკარად მოიკოჭლებენ.

„ლელოს" ბრიგადა.



ს უ რ ა თ ზ ე: უფროსი ასაკის გოგონათა გუნდების შეხვედრის მომენტი. ბურთისთვის იბრძვიან თბილისისა და აფხაზეთის წარმომადგენლები.

ი. იუნაევის ფოტო.

# მეტი გამომსახველობა, მეტი გრაცია!

მხატვრულ ტანვარჯიშში პირველობისთვის მოსწავლეთა სპარტაკიადის სარბიელზე ხუთი კოლექტივი იბრძოდა. საბოლოოდ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი (239,273 ქულა), 2. ქუთაისი (236,947), 3. აჭარა (205,19), 4. აფხაზეთი (202,8), 5. რუსთავი (177,45). ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის პრიზიორთა სამეული ასეთია: 1. ნ. ქათამაძე (44,25 ქულა), 2. ს. ბრიკი (ორივე — ქუთაისი. 44,2), 3. მ. ვიშნიაკოვა (თბილისი. 42,85); სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით — 1. ლ. გოცირიძე (აჭარა. 40,4), 2. ლ. დოლიძე (თბილისი. 39,75), 3. ლ. შიიანი (აჭარა. 39,6).

სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა ქუთაისის ნაკრებმა (მწვრთნელი ლ. შავდია), რომელმაც თბილისის გუნდს (ნ. სალუქვაძე) შეუპოვარი მეტოქეობა გაუწია და სულ რაღაც 2,326 ქულით ჩამორჩა სპარტაკიადაში გამარჯვებულ კოლექტივს. სამაგიეროდ, ქუთაისელთა უპირატესობა აშკარა იყო ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის. ეს მოწმობს, რომ ქუთაისში მხატვრულ ტანვარჯიშს სათანადო ყურადღება ექცევა.

1971 წლიდან მხატვრულ ტანვარჯიშში შეჯიბრებები ახალი, გართულებული პროგრამით ტარდება. ალბათ ამიტომაა, რომ ნორჩი სპორტსმენები ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ფლობენ ზოგიერთ ტექნიკურ ილეთს. ამ მხრივ შედარებით უკეთ აქვთ საქმე თბილისელებსა და ქუთაისელებს. რაც შეეხებათ აჭარის, აფხაზეთისა და რუსთავის სპორტსმენებს, მათს თავისუფალ ვარჯიშებში რთული ტექნიკური ილეთები ვერ ვნახეთ.

ჯერჯერობით მთავარი ძალა თბილისისა და ქუთაისის ნაკრებ გუნდებში უნდა ვეძიოთ.

მხატვრულ ტანვარჯიშში ყოველი მოძრაობა თუ ილეთი მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია ისიც, რა გამომსახველობით ფორმებს პოულობს სპორტსმენი ამა თუ იმ ვარჯიშის შესასრულებლად. შეჯიბრებამ ცხადყო, რომ სწორედ აქ მოიკოჭლებენ ჩვენი ნორჩი ტანმოვარჯიშენი. სისადავე, სილაღე მოძრაობაში, დამაჯერებლობა, მოქნილი და უნაზო ვარჯიში! აი, რა აკლია ბევრ ჩვენს სპორტსმენს. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისი იყვნენ ნ. ქათამაძე, ს. ბრიკი და მ. ვიშნიაკოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. გიორგაძე რიგიდან გვატყობინებს**

# მეთორმეტე პარტია

**ა. კუშნირი — ნ. გაფრინდაშვილი**

**გრიუნფელდის დაცვა**

**1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. cd მ:d5 5. e4 მ:c3 6. bc კg7 7. კc4 0—0 8. მe2 c5 9. 0—0 მc6 10. კe3 ლc7 11. ეc1 ეd8 12. კf4 ლd7 13. dc ლe8 14. კd5 კd7 15. კg5 მa5**

ბრძოლა VIII და X პარტიებში ამ პოზიციიდან დაიწყო. ორივემ მეტოქეს მდგომარეობა თავის სასარგებლოდ მიაჩნია, ამიტომ დაობენ კიდეც. თავისი ბოლო სვლით მსოფლიო ჩემპიონი კიდევ უფრო აძლიერებს შავების თამაშს. საქმე ისაა, რომ ახლა 16. ლd2 თეთრებს უპირატესობას ვეღარ აძლევს, როგორც VIII პარტიაში 16. ... კa5-ს გამო. კუშნირი იძულებულია აქტიურად ითამაშოს მეფის ფრთაზე.

**16. f4 ეdc8 17. f5 e6**

ახშობს თეთრების იერიშს. ცუდია 18. f6 კf8 19. კb3 ე:c5 და შავებს შესანიშნავი პოზიცია აქვთ.

**18. fe fe 19. კb3 ე:c5 20. კe3 ეc7 21. კf4 მ:b3 22. ab**

პოზიცია გაირკვა. იგი შავებისთვისაა ხელსაყრელი. რატომ? მათ ორი კუ აქვთ და ლაზიერის ფრთაზე დაშორებული გამსვლელი პაიკის შექმნის შესაძლებლობა. შემდეგ ნონა ცდილობს ამ უპირატესობის გამოყენებას. ალა ფხიზლად თამაშობს დაცვაში.

**22. ... e5 23. კg5 კc6 24. ლc2 ლe6 25. h3 b5 26. ეcd1 ეf8**

ეს არ იყო საჭირო. ჯობდა a პაიკის წინსვლა და გამსვლელის მიღება. გაცვლა მხოლოდ თეთრების დაცვის ორგანიზებას უწყობს ხელს.

**27. მg3 ეd7**

ახლა უკეთესი ჩანს 27. ... a5 და a4 მუქარით.

**28. ე:d7 ე:f1+**

გაცვლის მეშვეობით კუშნირი ტემპს იგებს ცენტრში მხედრის გადმოსაყვანად. გაფრინდაშვილის აზრით 28. ... ლ:d7 29. ეd1 ლb7-ის შემდეგ თეთრებს კარგი შანსი აქვთ.

**29. მ:f1 ლ:d7 30. მფh2**

კუშნირი უცდის შავებს, თუ რას მოიმოქმედებენ ისინი.

**30. ... h6 31. კe3 a5**

როგორც იქნა! მხოლოდ ენერგიული თამაშით შეიძლება ბრძოლა a პაიკის წინააღმდეგ.

**32. c4 b4**

ნონას რომ ყაიმი სდომოდა, 32. ... a4-ს ითამაშებდა და პაიკები გაიცვლებოდა.

**33. კc5 a4**

მსოფლიო ჩემპიონი ჩქარობს. საჭირო იყო 33. ... ლb7 a პაიკის წინსვლის მომზადებით.

**34. კ:b4 ლb7 35. ლc3 კ:e4 36. მe3 ab**

პრეს-ცენტრში 36. ... კ:g2-ს?! ამჯობინებდნენ. ნონამ გვითხრა. ამ გაგრძელებას 20 წუთს ვაანალიზებდი, მაგრამ მოგების კონკრეტულ გზას ვერ ვხედავდი, ამიტომ თავი შევიკავეო. ჭეშმარიტება მხოლოდ გულდასმითი ანალიზის შედეგად დადგინდება. ახლა კი პოზიცია თანაბრდება.

**37. ლ:b3 ლf7 38. კe1 h5 39. კg3 მფh7 40. ლb2 ლe7**

აქ პარტია გადაიდო. კუშნირმა სვლა ჩაიწერა.

* * *

გუშინ პარტია უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ საშინაო ანალიზმა ცხადყო, რომ არც ერთ მხარეს მოგებაზე თამაშის რეალური შანსი არ ჰქონდა. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელმა და სეკუნდანტმა, დიდოსტატმა ა. გიპსლისმა დილით დაურეკა პრეტენდენტს და ყაიმი შესთავაზა, რაზეც დაუყოვნებლივ თანხმობა მიიღო.

ამრიგად, ანგარიში გახდა 7:5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. მატჩის შემდეგი სათამაშო დღეა ოთხშაბათი, 14 ივნისი.



## საერთო ენა გამონახეს

ჭადრაკის ეს ორი გულშემატკივარი აქ, რიგაში, „ნონას მატჩზე" გაეცნო ერთმანეთს.

მარო ტყავაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მთამსვლელი ქალია, რომელმაც პროფესორ გ. ნიკოლაძის თავკაცობით 1923 წელს მყინვარწვერი დაიპყრო. იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი ინჟინერი-მეტალურგი ქალიც გახლავთ. ეს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ახალგაზრდობაში, 20-ან წლებში, მარო ტყავაძე სერიოზულად ფიქრობდა მოჭადრაკის კარიერაზე. ჭადრაკისადმი სიყვარული მას დღემდე არ განელებია. ახლა ქალბატონი მარო, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამსახურებული გულშემატკივარია. სხვათა შორის, იგი დაესწრო თავისი კერპის — ნონა გაფრინდაშვილის ყველა მატჩს: ე. ბიკოვასთან 1962 წელს ა. კუშნირთან 1965 და 1969 წლებში, და ახლაც რიგაში გახლავთ.

გულშემატკივარი, ჯიბის ჭადრაკით ხელში, ლარისა ვოლპერტია. ლარისა გამოჩენილი მოჭადრაკეა, საერთაშორისო ოსტატი, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა სამი (1955, 1959, 1961 წწ.) ტურნირის მონაწილე, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი და ბევრი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი. ვოლპერტი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია.

— სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი დღით ჩამოვედი მატჩზე დასასწრებად, — გვითხრა მან შეხვედრისას.

— ლენინგრადიდან ჩამობრძანდით?

— არა, ახლა ტარტუში ვცხოვრობ და ფსკოვში ვმუშაობ. გაგიკვირდებათ ალბათ. ამიტომაც ვეღარ ვთამაშობ ჭადრაკს. მეუღლე ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორია, ვაჟმაც უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა და იქვე მუშაობს. მე ფსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ვარ, ფრანგულს ვკითხულობ. უჭადრაკოდ მიჭირს. გულმა ვერ გამიძლო და ჩამოვედი, მინდა ერთი პარტია მაინც ვნახო.

— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— ნონა და ალა შესანიშნავად თამაშობენ. ნონა ძალიან ძლიერი მოჭადრაკეა. ჩვენ ასე ვერ ვთამაშობდით. დიდი ტალანტია. კუშნირის შეუპოვრობა მომწონს. მას წაგება არ აწინებს. მიხარია, როცა ქალთა ჭადრაკისადმი დიდ სიყვარულს ვხედავ.

როცა ლარისას ქალბატონი მარო გააცნეს, მათ სწრაფად გამონახეს საერთო ენა. სწორედ მაშინ აღბეჭდა ფირზე ისინი „ლელოს" სპეციალური ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა.

## მეთევზეებს უყვართ სპორტი

როცა ს. კიროვის სახელობის მეთევზეთა არტელის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ჰ. მადიბერგმა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების დაწყება გამოაცხადა, სტარტზე პირველნი ხელბურთელები გამოვიდნენ. ისინი ექვსკილომეტრიან მარშგარბენში ჩაებნენ. ეს ვარჯიში IV საფეხურის — „ფიზიკური სრულყოფის" ნორმატივში შედის. საუკეთესონი იყვნენ გემშემკეთებელი სახელოსნოს დურგალი პ. ნარტი, ზეინკალი ჰ. მატო და სამშენებლო უბნის მებეტონე ვ. ანანინი.

ხელბურთელების თაოსნობას მხარი დაუჭირეს არტელის დანარჩენმა ფიზკულტურელებმაც, დაახლოებით ათას ორასმა კაცმა, ესე იგი, კოლმეურნეობის წევრთა ნახევარზე მეტმა.

ახლახან არტელის ფიზკულტურის კოლექტივს მიანიჭეს სპორტული კლუბის წოდება. სექციებში გაერთიანებულია ორმოცდაათამდე სპორტის ოსტატი და ამ წოდების კანდიდატი, 400-ზე მეტი პირველთანრიგოსანი. კლუბში დანერგილი 23 სახეობიდან ყველაზე პოპულარულია ტურიზმი და ორიენტირება. პატივს სცემენ საწარმოო ტანვარჯიშსაც. ზუსტად 11 საათზე არტელის თითქმის ყველა მუშაკი იწყებს ვარჯიშს. საკონსერვო ქარხანაში ტანვარჯიშს მადიბერგი ატარებს, სადურგლო და მექანიკურ სახელოსნოებში, სამშენებლო უბანზე და სხვაგან კი საზოგადოებრივი ინსტრუქტორები. სულ ასზე მეტი სპორტის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი სისტემატურად მეცადინეობს კოლმეურნეობის ახალგაზრდობასთან. მათ შორის არიან რესპუბლიკაში ცნობილი სპორტსმენები — სპორტის ოსტატი, მოტომრბოლელი ვ. ადერი, ფრენბურთელთა მწვრთნელი ა. ალაკიულა და სპორტის ოსტატი ორიენტირებაში ი. ტასა. საჭიდაო ხალიჩის ხშირი სტუმარია ხაბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ი. როოტსი.

— კლუბის შექმნის მომენტიდან, — განაცხადა მისმა თავმჯდომარემ რ. სიკემიაემ, — კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა გაზარდოს ასიგნებათა თანხა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის.

კოლმეურნეობაში, სადაც წლიური ბრუნვა 20 მილიონზე მეტია, საზრუნავი თითქოს ისედაც ბევრია, მაგრამ, როცა სიტყვა სპორტზე ჩამოვარდება, ხელმძღვანელობა არაფერზე იხევს უკან. სპორტული მუშაობა აქ ყველას აინტერესებს, პირველ ყოვლისა კი პარტიულ კომიტეტს. პარტკომი რეგულარულად განიხილავს მუშაობის გეგმას და სიძნელეების წარმოქმნისას აქტიურ დახმარებას უწევს ენთუზიასტებს. იოლი არ იყო, მაგალითად, მოედნის გამოყოფა სტადიონის მშენებლობისთვის, რომელიც გაისად დამთავრდება.

არტელი განლაგებულია არც თუ ფართო კონცხზე, რომელიც მკვეთრადაა შეჭრილი ბალტიის ზღვაში, ამიტომ მიწა აქ ნესტიანია და გრუნტის დაყრისთვის ათობით მანქანა გახდა საჭირო.

ამჟამად სპორტული კომპლექსი როხუნეემეს კონცხზე ესტონეთის უდიდესი საკოლმეურნეო ფიზკულტურული ცენტრია. შემთხვევითი როდია, რომ აქ ხშირად ატარებენ თავიანთ შეჯიბრებებს რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენები. აი, ახლაც ესტონელის უძლიერესმა სპორტსმენებმა ორიენტირებაში ძალა დაბის მახლობლად მოსინჯეს.

ამჟამად კოლმეურნეობის აქტივისტებს ბევრი სამუშაო აქვთ — სპორტის დიდი დღესასწაულისთვის სპორტულ ნაგებობებს ამზადებენ. 1 ივლისს ასაკობრივ ჯგუფებში გულდასმით განაწილებული არტელის ასობით წევრი ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მორიგ ეტაპს შეუდგება.

— ვცდილობთ, რომ ჩვენთან ყველას ჰქონდეს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის სამკერდე ნიშანი, — თქვა მადიბერგმა.

**მ. იუოვი,**
**ა. ლევინსონი.**

როხუნეემე,
ესტონეთის სსრ.

საკვეთი ჟურნალისტი

◆ **ცხაკაია**

გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში საინტერესოდ ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება ვაჟთა შორის. ყველას აჯობა ა. ზარქუამ.

**ე. გუგუნავა.**

◆ **ონი**

„სპარტაკის" რაიონულ პირველობაში გუნდური გამარჯვება იზეიმეს განათლების მუშაკთა პროფკავშირის ფიზკულტურის კოლექტივის მოჭადრაკეებმა და მოშაშეებმა.

**ლ. ბერიშვილი,**
**ონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.**

◆ **ხობი**

სამ ასაკობრივ კატეგორიად ჩატარდა რაიონის მოსწავლე ფეხბურთელთა პირველობა. უფროს და უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში წარმატება წილად ხვდათ ხობის მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებს, ჩოლო საშუალო ასაკში — ხობის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდს.

**ზ. სერგია.**

## [illegible]-72

● **რაცებურგი**, 12 ივნისი. რაცებურგის XVI რეგატამ 15 ქვეყნის ნიჩბოსნებს მოუყარა თავი. ერთადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში ყველას აჯობა მოსკოველმა ა. ტიმოშინინმა, ხოლო უმესაჭო ორიანებით ტურნირში — ლენინგრადელებმა ვ პოლიაკოვმა და ნ. ვასილიევმა. ლიტველმა ვ. ბუტკუსმა ერთადგილიანებით ფინალური შეჯიბრების პირველ დღეს II ადგილი დაიკავა, მეორე დღეს კი, 11 ივნისს, ბუტკუსმა და ტიმოშინინმა წყვილმოსასმელიანი ორიანით იასპარეზეს და ფინიშთან მესამენი იყვნენ — ნორვეგიისა და დიდი ბრიტანეთის გუნდებს ჩამორჩნენ. რვიანებში (საბჭოთა გუნდი არ მონაწილეობდა) საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: გფრ, უნგრეთი, ჰოლანდია. ტურნირის მასპინძელმა — გფრ-ის გუნდმა ტრასის რეკორდი დაამყარა — 5.43,48.

● **შუაზი-ლე-რუა**, 12 ივნისი. პარიზის მახლობლად მდებარე ამ პატარა ქალაქში ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის საბჭოთა ოსტატებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს — ერთკილომეტრიან მანძილზე ვაჟთა ყველა რბოლა მოიგეს: ერთადგილიანი ბაიდარებით ტურნირი — მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, სუმელმა ა. შაპორენკომ, ერთადგილიანი კანოეებით — დნეპროპეტროვსკელმა გ. იურჩენკომ, ორადგილიანი ბაიდარებით — ბარნაულელმა კ. კოსტენკომ და ვლადივოსტოკელმა ვ. კონონოვმა, ორადგილიანი კანოეებით — დუშანბელებმა მ. ლობანოვმა და ვ. პანკოვმა. საბჭოთა ნიჩბოსნები საუკეთესონი იყვნენ ოთხადგილიანი ბაიდარებით გაცურვაშიც — 3.00,9. ერთადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე ქალთა რბოლის ფინიშთან პირველი მივიდა ოდესელი ი. რიაბჩინსკაია.

● **ბუქარესტი**, 12 ივნისი. ტყვიის სროლაში რუმინეთის ჩემპიონის წოდება სამმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიხვეჭა. ამ ღია პირველობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რიგელმა ბაიბა ზარინიამ და ბლაგოვეშჩენსკელმა გ. ლუშჩიკოვმა — მათ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდებს გადააჭარბეს: სტანდარტული შაშხანით სროლაში ზარინიამ 580 ქულა დააგროვა 600-დან, ხოლო ლუშჩიკოვი საუკეთესო იყო მსხვილკალიბრიანი შაშხანით სროლაში (3×40) — 1161 ქულა. კრასნოიარსკელმა გ. ზაპოლსკიხმა გაიმარჯვა სამატჩო პისტოლეტით სროლაში — 564 ქულა.

● **პოტსდამი**, 12 ივნისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ბულგარელმა მძლეოსნებმა ოთხი ეროვნული რეკორდი დაამყარეს: ი. ბლაგოევამ 186 სმ სიმაღლე გადალახა (მეორე შედეგი წლეულს მსოფლიოში), ვ. სტოევამ 62,18 მეტრზე ტყორცნა ბადრო (მესამე შედეგი წლეულს მსოფლიოში), ნ. პეტროვამ 1500 მ 4 წუთსა და 15,2 წამში გაირბინა, დ. იორგოვა კი 654 სმ სიგრძეზე გადახტა. მასპინძელ ქალთაგან თავი გამოიჩინა მორბენალმა მ. ჰაიბიხმა — 200 მ — 23,3 წამი. კარგ შედეგებს მიაღწიეს გერმანელმა ვაჟებმაც: ზ. შენკემ 200 მ 20,7 წამში გაირბინა, ფ. ზიბეკმა 110 მეტრზე თარჯრბენში 13,5 წამი აჩვენა, ი. ზაქსემ კი ურო 73,14 მეტრზე ტყორცნა.

● **ლონდონი**, 12 ივნისი. **1 მილზე რბენაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო დროით გაიმარჯვა პ. სტიუარტმა (დიდი ბრიტანეთი) — 3.55,3.**

● **ტალინი**, 12 ივნისი. „ტალინის დიდი პრიზი" სალიდერო რბოლაში მოსკოველმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა მარკოვმა და ზაიცევმა მოიგეს. II ადგილზე გავიდნენ ტაშკენტელები მედვედევი და კრიუჩენკო, III — ტულელები გუბენკოვი და ვლასოვი. ადგილობრივ ტრეკზე მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების პროგრამის ამ სახეობაში უცხოელი სტუმრები არ გამოსულან. სამაგიეროდ, გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ყველას აჯობეს გდრ-ის ველოსიპედისტებმა, თანაც ტალინის ტრეკის რეკორდი დაამყარეს — 4.34,24. II ადგილზეა სსრ კავშირის პირველი ნაკრები.

## ჭადრაკის დაფებთან

**ციმლიანსკი**, 12 ივნისი. დამთავრდა სოფლის მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობა, რომელშიც რსფსრ-ს, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და უზბეკეთის 12 წარმომადგენელი თამაშობდა. ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა ლიტველმა ოსტატობის კანდიდატმა მ. კარტანაიტემ, რომელმაც 6 შეხვედრა მოიგო, 1 წააგო და 4 ყაიმით დაამთავრა. საერთო ჯამში მას 8 ქულა მოაგროვა.

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა კუიბიშევის ოლქის წარმომადგენელი ა. სალკინა. ამდენივე ქულა დააგროვა, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით უარესი მდგომარეობა ჰქონდა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს, 18 წლის ტ. ფომინას (ესტონეთი), რომელმაც III ადგილი დაისაკუთრა.

• • •

**ლიეპაია**, 12 ივნისი. დამთავრდა პიონერული რაზმეულების ხეთოხე საკავშირო ტურნირი მსოფლიო ჩემპიონების პრიზზე ჭადრაკში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. გაიმარჯვეს კიშინიოვის 29-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ესენი არიან მეშვიდეკლასელები მ. ზლატოპოლსკი, ს. როდოვთი და ა. ტრიგუბოვი, მეექვსეკლასელები ე. ვოსტოკოვი და ტატიანა დერიდი.

II ადგილზე გავიდნენ სომხეთის ქალაქ ოქტემბერიანის მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

III ადგილი წილად ხვდა ლიტვის ქალაქ პანევეჟისის მე-4 საშუალო სკოლის გუნდს

პირად ჩათვლაში ყველაზე მეტი ქულა (10-დან — 10) დააგროვა ლატვიის ქალაქ ცესისის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენელმა ე. კენგისმა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა პანევეჟისელი ზ. ენორისი. 7 ქულით III ადგილზეა კიშინიოველი მ. ზლატოპოლსკი.

მათს გარდა კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ მ. ბაბაევი, ნატალია სერმაკაშევა (ორივე — აზერბაიჯანი) და სანია საბიროვა (ყირგიზეთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 10 | 6 | 4 | 0 | 17—5 | 16 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 10 | 6 | 3 | 1 | 16—2 | 15 |
| „დილა" (გორი) | 11 | 5 | 3 | 3 | 11—6 | 13 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 10 | 5 | 3 | 2 | 9—6 | 13 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 10 | 6 | 0 | 4 | 13—12 | 12 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 11 | 3 | 6 | 2 | 7—6 | 12 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 9 | 3 | 5 | 1 | 6—2 | 11 |
| „დინამო" (ბათუმი) | 9 | 4 | 3 | 2 | 11—9 | 11 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 10 | 3 | 4 | 3 | 12—11 | 10 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 10 | 4 | 2 | 4 | 11—14 | 10 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 9 | 4 | 1 | 4 | 6—7 | 9 |
| „დინამო" (სოხუმი) | 9 | 2 | 5 | 2 | 7—9 | 9 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 10 | 2 | 5 | 3 | 8—11 | 9 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 10 | 3 | 3 | 4 | 6—11 | 9 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 10 | 3 | 2 | 5 | 13—14 | 8 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 11 | 2 | 4 | 5 | 9—11 | 8 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 9 | 2 | 3 | 4 | 8—11 | 7 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 11 | 0 | 5 | 6 | 5—12 | 5 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 11 | 0 | 3 | 8 | 3—19 | 3 |

## ჩემპიონატები, თასები, რეკორდები

### იუგოსლავია

გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო, 34-ე ტური. უძლიერესი გუნდის სახელი მოიხვეჭა სარაევოს „ჟელეზნიჩარმა", რომელმაც 51 ქულა დააგროვა (ბურთების შეფარდება 55:20). გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა". III ადგილზეა „ოფკ ბელგრადი" — 45 ქულა.

## ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს 23 საათზე (თბილისის დროით) დაიწყება ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის ტელეტრანსლაცია ბელგიიდან — თქვენ ნახავთ სსრ კავშირისა და უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების კალენდარულ შეხვედრას.

მაშ ასე: გიწვევთ ტელეეკრანებთან!

# საბჭოთა ნაკრების მეტოქეები

დღეს ბელგიის სტადიონებზე იწყება ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები. მეტოქეები ცნობილი არიან: სსრ კავშირი — უნგრეთი, ბელგია — გფრ.

მოკლედ მოგითხრობთ საბჭოთა ნაკრების მეტოქეთა შესახებ.

### უნგრეთი

ვის-ვის და უნგრელებს საბჭოთა ფეხბურთელები ხშირად შეხვედრიან, თუმცა ბოლო მატჩის შემდეგ, როცა საბჭოთა ნაკრებმა ლუჟნიკის მინდორზე ანგარიშით 3:0 დაამარცხა უნგრეთის გუნდი, 4 წელი გავიდა.

სულ ამ ორი გუნდის 10 შეხვედრის ისტორიაში 2 მატჩი მოიგეს უნგრელებმა, 3 ფრედ დამთავრდა და 5 მოიგო საბჭოთა გუნდმა, რომელსაც ბურთების უკეთესი ბალანსიც აქვს — 14:9.

ამ 10 მატჩიდან მხოლოდ ერთი შედგა ნეიტრალურ მინდორზე, 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში (სანდერლენდი). ეს იყო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა საბჭოთა ფეხბურთელებს. დღეს ძველი მეტოქენი მეორედ ხვდებიან ნეიტრალურ მინდორზე.

უნგრელთა „დიდი გუნდის" ისტორია ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, მაგრამ ბოლო წლებში იგი ერთობ უთანაბროდ თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ 1970 წელს უნგრელები მსოფლიო ჩემპიონატის 16 ფინალისტს შორის ვერ მოხვდნენ, მრავლისმეტყველი იყო.

ხშირად იცვლებოდა ნაკრების შემადგენლობა, იცვლებოდნენ მისი მწვრთნელებიც. შარშან ზაფხულში ნაკრები ჩაიბარა რ. ილოვსკიმ, რომელიც წარმატებით ამზადებდა გუნდს სხვადასხვა შეჯიბრებისთვის. კერძოდ, უნგრელებმა კარგად გაართვეს თავი დაძაბულ ბრძოლას თავიანთ ქვეჯგუფში, შემდეგ კი მეოთხედფინალის მესამე, დამატებით მატჩში დაამარცხეს რუმინეთის ძლიერი გუნდი. საერთოდ, უნგრეთის ნაკრებმა 1971-72 წლებში ჩაატარა 13 საერთაშორისო შეხვედრა, 7 მოიგო, 4 ფრედ დაამთავრა და 2 წააგო. ამ მატჩებში ილოვსკიმ გამოსცადა 20 მოთამაშე, რომელთაგან მხოლოდ ბენემ და ზამბომ მიიღეს მონაწილეობა ყველა საერთაშორისო შეხვედრაში.

უნგრეთის ნაკრებში შედიან წამყვანი კლუბების „უიპეშტ დოჟას", „ფერენცვაროშის", „ჰონვედისა" და „ვაშაშის" საუკეთესო ფეხბურთელები. ჩვეულებრივ, ნაკრები ასეთია: გეცი, ფაბიანი, პანჩიჩი, ბალინტი, პ. იუხასი, ი. იუხასი, კოჩიში, კიუ, სეკეი, ბენე, ზამბო.

ნაკრების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უნგრელთა მთავარი ძალაა დაცვა, ხოლო თავდასხმამ ვერ გამოიჩინა თავი მაღალი შედეგიანობით.

### ბელგია

ბელგიის ნაკრების გასვლა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ფაზაში ბევრს მოულოდნელობად მიაჩნდა, თუმცა თვით ბელგიელთა მწვრთნელი რ. გუტალსი ამას სავსებით ნორმალურ, კანონზომიერ მოვლენად თვლის. გუტალსმა განაცხადა, რომ მის გუნდს განსაკუთრებული ტაქტიკური დისციპლინა აქვს და მაღალი სანებისყოფო თვისებებით გამოირჩევა.

ბელგიელთა დიდ შანსად მიმომხილველებს „საკუთარი მინდვრის" ფაქტორი მიაჩნიათ. ეს ერთობ მნიშვნელოვანი ამბავია, ვინაიდან ისტორია მეტყველებს: 1964 წელს ესპანელებმა თავიანთ მინდორზე მოიპოვეს ევროპის ჩემპიონობა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ იგივე წარმატება გაიმეორეს შინ იტალიელებმა. აქვთ თუ არა ბელგიელებს სერიოზული შანსი? რა თქმა უნდა! თუნდაც ის რად ღირს, რომ მეოთხედფინალში მათ დაამარცხეს ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — იტალიის ნაკრები.

საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილია, რომ ბელგიელები ძალიან აგრესიულად თამაშობენ საკუთარ მინდორზე და სწორედ აქ აღწევენ დიდ წარმატებებს. ცხადია, გუნდი შეეცდება ეს ტრადიცია არც ახლა დაარღვიოს. ბელგიის ნაკრების დიდ წარმატებებს სპეციალისტები მიაწერენ მისი უფროსი მწვრთნელის გუტალსის უნარიან, დაუღალავ საქმიანობას, თუმცა ეს უკანასკნელი დიდი თავშეუკავებლობით გამოირჩევა და სისტემატურად ჩხუბება არბიტრებს. მილანში, როცა ბელგიელები მეოთხედფინალურ მატჩს ატარებდნენ იტალიის ნაკრებთან, მსაჯი იძულებული იყო მიემართა უკიდურესი სანქციისთვის და მინდვრიდან გაეძევებინა გუტალსი, რომელიც სათადარიგოთა სკამიდან განუწყვეტლივ ხმამაღლა აძლევდა მითითებებს თავის მოთამაშეებს და ეკამათებოდა არბიტრს.

ბელგიის ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებულია „ანდერლეხტისა" და „სტანდარდის" ფეხბურთელებით, თუმცა გუნდში არიან „ბრიუგეს", „სენტ-ტრონდისა" და „რესინგის" წარმომადგენლებიც. გაგაცნობთ გუნდის შემადგენლობას: მეკარეები — პიო, სანდერსი; დაცვა — ტისენი, ჰილკენსი, მორტენსი, დოლმანსი, ვანდენდეილი, დევალკი; ნახევარდაცვა — ვან მური, დოქსი, პოლეუ, ვერიენი; თავდასხმა — სემელინგი, ვან ჰიმსტი, დევრინდტი, ლამბერი.

### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

სულ ახლახან ფეხბურთის მოყვარულებმა ტელევიზიით ნახეს გფრ-ის ნაკრების მატჩი მიუნჰენის ახალ სტადიონზე სსრ კავშირის გუნდთან. პირდაპირ უნდა ითქვას, მან ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. ჰ. შიონის ანსამბლი საოცრად შეწყობილად, მონოლითურად და აზრიანად თამაშობდა. ესაა მაღალი კლასის შემსრულებელთა უაღრესად შეთანხმებული კოლექტივი, რომელიც წამითაც არ უშვებს ხელიდან თამაშის სადავეებს და გაძლიერებული ძალით მოქმედებს მინდვრის ყველა ნაწილში. თუ გუნდი დაცვაშია, აქ მუდამ არიან დასახმარებლად მოსული თავდამსხმელები, ხოლო შეტევაში ფორვარდებს სისტემატურად მხარს უჭერენ სხვა რგოლების წარმომადგენლებიც. თვით შიონმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ არასოდეს მის ვამგებლობაში არ ყოფილან ასეთი ნიჭის, შესაძლებლობათა და, რაც მთავარია, კოლექტიური თამაშის უნარის მქონე მოთამაშეები. 5 წლის წინ მწვრთნელმა დაასაძლა სრულიად ახალგაზრდა, უცნობი ფეხბურთელები — მიულერი, ნეცერი, გრაბოვსკი, ფოგტსი და ფიჰტელი, ახლა კი ეს მოთამაშეები საერთაშორისო კლასის ვარსკვლავები არიან. მწვრთნელს არ უღალატა პროფესიულმა ყნოსვამ და ძველი და ახალი თაობების მოთამაშეთა რაციონალურმა შერწყმამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

გფრ-ის ნაკრების კარს იცავენ მაიერი და კლეფი. დაცვის ბურჯს წარმოადგენენ სტოპერები ბეკენბაუერი და შვარცენბეკი, რომლებიც ნაკრების თამაშის მანერასაც განსაზღვრავენ. მათ მხარს უმშვენებენ ბრაიტნერი, ბაუმჰოფი, ჰიოტგესი, ნიუბერგერი, ფოგტსი და ვეტერანი შნელინგერი.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ჯერჯერობით ფორმაში ვერაა ნახევარდაცვის წამყვანი მოთამაშე ოვერატი, მაგრამ ამ ხაზში მწვრთნელის განკარგულებაში არიან ნეცერი, ვიმერი, ჰიონესი ფლოჰე. თავდასხმაში ძირითად ძალას წარმოადგენს ცენტრალური ფორვარდი მიულერი, რომელიც გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით და საგოლე მომენტის შერჩევის შეუდარებელი ალღოთი. შეტევის წინა ხაზში ითვლებიან, აგრეთვე, გრაბოვსკი, ჰელდი, ჰაინკესი, კრამერსი, კიოპელი.

## 24 ივნისს

საქართველოს დოსაафის კომიტეტი პარტიზანების პარკის (ლისის ტბა) მიდამოებში აწყობს მოტოციკლისტთა ერთდღიან გასამხედროებულ შეჯიბრებას, რომელშიც მსურველნი 175 და 350 კბ სმ მოცულობისძრავიანი საკუთარი მოტოციკლებით იასპარეზებენ.

სპორტსმენებმა 15-კილომეტრიანი წრე სამჯერ უნდა შემოიარონ. მონაწილეებმა პირველი წრის შემოვლის შემდეგ პნევმატური შაშხანით ხუთ სამიზნეს უნდა ესროლონ. მან, ვინც სამიზნეს ტყვიას ააცდენს, დამატებით 2 საჯარიმო კმ უნდა გაიაროს. მეორე წრის შემოვლის შემდეგ მოასპარეზეებმა ხელყუმბარა, სულ ცოტა, 35 მეტრზე უნდა ტყორცნონ (ვინც ვერ ტყორცნის, ჯარიმდება).

— ამ საინტერესო შეჯიბრებაში საასპარეზოდ ვიწვევთ ყველა მსურველს, ვისაც ზემოაღნიშნული კუბატურის მოტოციკლი აქვს, — ამბობს მოტომრავალჭიდში საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი თ. შალიბაშვილი. — პირობა ორია: შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველს საკუთარი მოტოციკლი უნდა ჰქონდეს და ასპარეზობის ნებართვისთვის ადგილობრივი დოსაафის ორგანიზაციას ან ავტო-მოტოკლუბს მიმართოს.

სტარტზე ვიწვევთ ყველას, ვისაც სურს ძალა და მოხერხება, მანქანის მართვის ტექნიკა შეამოწმოს. გამარჯვებულნი სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან.

საუკეთესოთაგან დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც აგვისტოში ჟურნალ „ზა რულიომის" პრიზისთვის საკავშირო ტურნირში გამოვა.

ზ. ძვათაძე.

## ამრიგად — 4:1

ვარშავა, 12 ივნისი. დევისის თასის გათამაშების ევროპული „ა" ზონის ნახევარფინალურ მატჩში სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 4:1 სძლია პოლონეთის ეროვნულ გუნდს.

როგორც ცნობილია, ბოლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი თ. კაკულია და პოლონეთის მეორე ჩოგანი ტ. ნოვიცკი. ეს შეხვედრა არ დამთავრებულა: მეორე პარტიის გათამაშების დროს კაკულიამ ფეხი იტკინა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ამან ერთადერთი ქულა მოუტანა მასპინძელთა გუნდს.

## ტურნირის მშვენება — რვაადგილიანი

10-11 ივნისს მდინარე მოსკოვზე, „ტრუდის" საწყლოსნო ბაზაზე (სერებრიანი ბორი) ჩატარდა ქალთა ასპარეზობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში სსრ კავშირის თასზე. ტურნირის მშვენება იყო რვაადგილიანების შეჯიბრება. მოსკოვის „სპარტაკის" ნავმა (მომსმელი ე. მოროზოვა — ევროპის ჩემპიონი ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავებით შეჯიბრებაში) ისარივით გაიარა კილომეტრიანი დისტანცია და გაიმარჯვა.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში სსრ კავშირის ქალთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბ. სხირტლაძემ ამ შეჯიბრებას ევროპის ჩემპიონატისთვის (ჩატარდება 10-13 აგვისტოს ბრანდენბურგში) მზადების ერთ-ერთი ეტაპი უწოდა. გუნდის შემადგენლობაში საბოლოოდ სიცხადეს შეიტანს ქვეყნის ჩემპიონატი, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში ჩატარდება. თასზე ასპარეზობის ახალგაზრდა მონაწილეთაგან სხირტლაძემ განსაკუთრებით აღნიშნა 20 წლის მოსკოველი ე. ანტონოვა.

### ტექნიკური შედეგები

უმესაჭო ორადგილიანი. 1. „დინამო" (ლენინგრადი) — მომსმელი ი. ერმოლაევა — 3.54,8; 2. „ტრუდი" (ლენინგრადი) — ლ. კლიმენკო — 3.54,9; 3. „სპარტაკი" (მოსკოვი) — ა. კულეშოვა — 3.56,2. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი. 1. „დინამო" (მოსკოვი) — გ. მიტროხინა — 3.34,6; 2. „ტრუდი" (ლენინგრადი) — გ. სუსლინა — 3.37,8, 3. „ტრუდი" (მოსკოვი) — ე. ანტონოვა — 3.37,9. რვაადგილიანი. „სპარტაკი" (მოსკოვი) — ე. მოროზოვა — 3.08,6; 2. ბალტიისპირეთის ცენტრი — კ. კოვენკოვა — 3.09,9; 3. კიევის ნაკრები — გ. ლიტოვეცი — 3.10,0. ოთხადგილიანი მესაჭიანი. სსრ კავშირის ნაკრები — ნ. ბისტროვა — 3.33,0; 2. „სპარტაკი" (მოსკოვი) — მოროზოვა — 3.34,8; 3. „დინამო" (კიევი) — ლიტოვეცი — 3.34,9. ერთადგილიანი. 1. გ. რომშმკენე („ჟალგირისი", ვილნიუსი) — 4.02,2; 2 ე. ანტონოვა — 4.01,9; 3. ლ. ანდრეევა („სპარტაკი", ლენინგრადი) — 4.02,0. ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი. 1. „დინამო" (ლენინგრადი) — ვ. ფიოდოროვა — 3.27,5; 2. „დინამო" (მოსკოვი) — მიტროხინა — 3.28,0; 3. „დინამო" (სარატოვი) — ა. ვანშჩიკოვა — 3.32,4.

(საქინფორმი).



როგორც ვიტყობინებოდით, ამას წინათ თბილისში, თემქ-ის დასახლების სტადიონზე გაიმართა მოტობურთში „ბ" კლასის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტური. თბილისის „ივერია" მახაჩყალის „კასპიის" მასპინძლობდა. „ივერიამ", რომლის შემადგენლობაში იყვნენ ა. გალუმოვი, ტ. მაზანიშვილი, პ. ეფიმენკო, ლ. ნარიკაშვილი და ნ. შონია, მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 8:1.

სურათზე: მომენტი „კასპიის" კართან.

ა. გურასაშვილის ფოტო.

# ახალი ამბები

● ბუქარესტი, 12 ივნისი. რუმინეთის, გფრ-ისა და პოლონეთის მძლეოსან ქალთა აქ გამართულ შეჯიბრებაში გერმანელმა ჰ. ფალკმა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგით მოიგო 800 მეტრზე რბენა — 2 წუთი. ფინიშთან მეორე იყო მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ი. სილაი — 2.00,2 (რუმინეთის რეკორდი). 100 მეტრზე თარჯრბენში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია რუმინელმა ვ. ბუფანუმ — 12,7 წამი (საუკეთესო დრო წლეულს მსოფლიოში). მეორე იყო ტ. სუკნევიჩი (პოლონეთი) — 12,8. სუკნევიჩის თანამემამულე ი. შევინსკამ გაიმარჯვა 100 მეტრზე რბენაში — 11,3. 400-მეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში ყველაზე აჯობა კ. ფრეზემ (გფრ) — 53,0. სიგრძეზე მხტომელთა ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბადალი არ ჰყავდა ჰ. როზენდალს — 669 სმ. II ადგილზეც დასავლეთგერმანელი მ. როზენი გავიდა — 651 სმ. 4×100 მეტრზე ესტაფეტაში გფრ-ის კვარტეტმა სსრ კავშირის გუნდის მიერ წლეულს ნაჩვენები მსოფლიოში საუკეთესო დრო გაიმეორა — 43,9. გერმანელმა ლ. ვესტერმანმა გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაში — 63,76 მ. II ადგილი დაიკავა რუმინელმა ა. მენისმა — 63,50.

● სოფია, 12 ივნისი. სსრ კავშირის ფეხბურთელ ვაჟთა მეორე ნაკრებმა ბოლო მატჩი მოუგო მასპინძელთა პირველ ნაკრებს (3:2), მაგრამ მხოლოდ IV ადგილი დაიკავა ბულგარეთის ფეხბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში. ეს იყო საბჭოთა გუნდის ერთადერთი გამარჯვება ოთხი კოლექტივის ფინალურ შეჯიბრებაში. I ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელმაც მწვავე ბრძოლაში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი — გფრ-ის ეროვნული გუნდი — 3:2. ამ დასკვნითმა შეხვედრამ გერმანელები II ადგილზე დატოვა.

ახალი ამბები

## ბეატრის შუბა სამოყვარულო სპორტს გამოეთხოვა

ფიგურულ ციგურაობაში ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ბეატრის შუბა (ავსტრია) სამოყვარულო სპორტს გამოეთხოვა: მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ამერიკის რევიუ „აის ფოლიზთან".

ტატიანა შაგაშოვა

# სირბილი



... რა ბრძანეთ? სად იშოვეო? არა უშავს, არა? რომ იცოდეთ, ჩემი ოფლითაა გაჟღენთილი. სამუდამოდ მოვიგე ცოლის გული. არ დაიჯერებთ, გადამკოცნა კიდეც, სერვიზი? ესეც მე გავჩარხე, რანაირად და სულ უბრალოდ: ვირბინე და გავჩარხე. როგორ ირბინეო? აკი გეუბნებით, ძუნძულით. დიდი სასარგებლო რამეა. მთავარია რაციონალურად გამოიყენო.

შარშანწინდელ ამბავს გიყვებით. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი შერყეული ჯანმრთელობის გამაგრება გადავწყვიტე. უბნის ექიმთან ჩავეწერე. ავუხსენი ჩემი სატკივარი. მომეცით, ექიმო, რამე ფსიქოთერაპიული ან მედიკამენტური, შეიბრალეთ ჩემი მჯდომარე ცხოვრებით დასუსტებული და საკანდიდატო მინიმუმჩაბარებული ორგანიზმი-მეთქი. ქალი იყო, მშვენიერი, სიმპათიური პატარა ესკულაპი. სულ დეტალ-დეტალ შემამოწმა. მკერდზე რაღაც თეჯირები დამახატა. ხან მიბრძანა თითები გაფარჩხეო, ხან ისუნთქეო, ხან არ ისუნთქოო. მერე წნევაც გამიზომა და გამომიცხადა: პრაქტიკულად ჯანმრთელი ხარ, ოღონდ სუფთა ჰაერი, დადებითი ემოციები და სპორტი გაკლიაო.

გუშინდელივით მახსოვს, თავჩაქინდრული მოვდიოდი შინისკენ და ვფიქრობდი: „ეს რა დამემართა, რა ღმერთი გამიწყრა, სპორტი ასე უყურადღებოდ როგორ დამრჩა? რატომ არ ვამუშავებდი ბურთს, საფინიშო ლენტები მკერდით რატომ არ გამქონდა, შუბს რატომ არ ვტყორცნიდი? დასანანი დანაკარგია, მაგრამ ეს არაფერი. ცხოვრება ჯერ წინ არის. მე გამოვალ სტარტზე და სულ ბდღვირს ავადენ იქაურობას. ჯერ ადრეა გულ-ხელის დაკრეფა. მთავარი დაწყებაა".

დავიწყე მოკლე მანძილებზე რბენით — სავუნთუშეში, რძისთვის, სამრეცხაოში, „საყოფაცხოვრებო ქიმიაში" „დარიას" მოსატანად. ეს დასაწყისი იყო.

ვერ ვიტყვი, თავიდან საქმე რეკორტანივით სწრაფად მიდიოდა წინ-მეთქი. სიძნელეებიც შემხვდა, გულიც ბევრჯერ გამიტყდა. აგერ გეტყვით, ერთხელ მაღაზიაში თეთრი სპორტული ჩუსტები მოვკითხე. ნოქარმა დიდხანს გულიანად იცინა და მერე დამგესლა: ჩიტის რძის ბრიკეტები არ გნებავთო? მე ვუთხარი: სხვაოა შორის, ჩიტის რძეს ვიშოვი როგორმე, ოღონდ თეთრი ჩუსტები და კედები სად ვიყიდო-მეთქი. კედები არა გვაქვსო, ცივად მომიჭრა ნოქარმა. — თუ გინდათ, ტურლაშქრობის ყელიანი ფეხსაცმელი წაიღეთო. კი ბატონო, მაგრამ სალაშქროდ არ ვეპირები-მეთქი. მაშინ ფიგურული ციგურაობისა იყიდეთო.

იოლად ვერც საწვრთნელი კოსტიუმი ჩავიგდე ხელში. არა, რაც მართალია, მართალია, ლამაზი კოსტიუმი მინდოდა, შალისა, ცისფერი, თეთრი ზოლი რომ დასდევს, მაღაზიაში კი რაღაც ბამბაზიის, ადამ და ევასდროინდელი ფასონის, უამისფერ კოსტიუმებს მაჩეჩებდნენ, ზოგში სამი ჩემისთანა ჩაეტეოდა, ზოგი ქონდრისკაცს არ ეყოფოდა სიგრძე-სიგანეში... რაღას ვიზამდი, გადავწყვიტე სპეციალური ეკიპირების გარეშე მერბინა.

მართლაც, ტანსაცმელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია სად და როგორ ირბენ. იმ მომენტისთვის უკვე ძუნძულის რაციონალიზება მქონდა დაგეგმილი. ზოგიერთივით ბუჩქების ირგვლივ უმიზნოდ ბორიალს და წაღმა-უკუღმა უსარგებლო ძუნძულს არ ვაპირებდი. საქმიანი, სასარგებლო სირბილი მინდოდა. შეც ავდექი და მაღაზიებისკენ ავიღე გეზი. თავიდან მარტო სპორტულ მაღაზიებში დავრბოდი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩუსტებიც ვიშოვე, კოსტიუმიც.

ბევრი ძვირფასი რამ შევიძინე ამ ინტენსიური წვრთნის პერიოდში: ბალიში ვიყიდე, ქვაბი გავჩარხე ისეთი, თავისით ხარშავს, კერამიკული ქურა შევიძინე, ავტომანქანის კამერები.

მარათონელი რა გზით გავხდი? აკი მოგახსენეთ, ყველაფერი გულახდილად გიამბეთ. ვიწვრთნებოდი, თავი არ დამიზოგავს. ძნელიაო? აბა რა გითხრათ, ჩვევა და წრთობა ძალიან ბევრს ნიშნავს. დღეში ორჯერ დავრბივარ — დილა-საღამოს. 42 კილომეტრსა და 195 მეტრს სულ სიმღერ-სიმღერით ვფარავ ხოლმე. სად დავრბივარ? ხომ გითხარით, გარაჟი მივიღე ჩემი მანქანისთვის. დილით ვდგები, ზურგზე თერმოსს მოვიგდებ და სულ ძუნძულით გავრბივარ გარაჟისკენ, საღამოს ჩემს ბედაურს ახალთახალ ბაგას მივაყენებ და ისევ უკან. შინისკენ გავუდგები გზას. ღრმად ვსუნთქავ, ვარსკვლავებზე ორიენტირებ ი თ ვერთობი. ამასობაში ცხოვრება ახალ-ახალ ამოცანებს გვიყენებს. ახლა რემონტი მაქვს განზრახული და მოდური შპალერი უნდა ვიშოვო. ეს უკვე ზემარათონი იქნება. არ გჯერათ? ჩამობრძანდით ჩვენს ქალაქში და, თუ მტყუანი ვიყო, თავი მომჭერით.

(„ლიტერატურნაია გაზეტა").

თარგმნა ც. ფცქიალაძემ.



ლიდერი.

მ. თათარიშვილის ფოტო.

# ჯო უოლკოტი — შერიფი

კრივში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ჯერსი ჯო უოლკოტს ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა. ამ ხნის მანძილზე მას ბევრი მეტოქე დაუგდია რინგის იატაკზე. ახლა უოლკოტმა ახალი კარიერა დაიწყო და სრულიად სხვა რამ დაისახა მიზნად — დახმარების ხელი გაუწოდოს ყველას, ვისაც კი დაცვა სჭირდება.

ჯო უოლკოტი 37 წლისა იყო, როცა კრივში მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა. იგი ყველაზე ხნიერი ჩემპიონი გახლდათ მძიმე წონაში. „მოკრივე რომ ვიყავი, ასე მარიგებდნენ: რაც უფრო მეტ მეტოქეს გაშხლართავ რინგზე, მით უფრო მაღლა მოექცევი მსოფლიო კლასიფიკაციის მწვერვალზეო", — იგონებს უოლკოტი. დღეს უკვე 20 წელია გასული იმ დღიდან, როცა მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. და აი, ახლა უოლკოტმა სულ სხვა გზა აირჩია — ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ კემდენში შერიფად მუშაობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შტატში იგი ერთადერთი ზანგია შერიფთა შორის. უოლკოტის ცხოვრების ფილოსოფია შეიცვალა. მას უკვე აღარ სწყურია მეტოქეთა ძირს დანარცხება. „გაჭირვებაში მყოფ კაცს რომ დავეხმარო, ეს ისეთსავე სიხარულს მომანიჭებს, რა სიხარულსაც რინგზე გამარჯვება მგვრიდა".

უოლკოტის ნამდვილი სახელი არნოლდ კრემია. იგი მესამე შვილი იყო თავისი მშობლებისა, რომელთაც მის გარდა კიდევ ცხრა ქალ-ვაჟი ჰყავდათ. მამა შავი მუშა იყო და 14 წლის არნოლდი უკვე იძულებული გახდა სკოლა მიეტოვებინა.

1952 წელს უოლკოტმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული როკი მარჩიანოს დაუთმო.

„1951 წელს, — იგონებს ჯო, — როცა მსოფლიო ტიტული მოვიპოვე, მაღალ ღმერთსა და საკუთარ თავს შევფიცე, რომ ჩემს ცხოვრებას ხალხის, ახალგაზრდობის სამსახურს მივუძღვნიდი". რინგი რომ დატოვა, უოლკოტი მშობლიურ ქალაქ კემდენში დაბრუნდა და პოლიციის აგენტად დაიწყო სამსახური. მას არასრულწლოვანთა საქმეები ებარა და დღეში 10 დოლარს უხდიდნენ. „იმ დღიდან ვცდილობდი მუდამ დავხმარებოდი მოზარდებს, შთამენერგა მათთვის რწმენა, რომ მონდომების, მოთმინებისა და შრომის გზით ცხოვრებაში ბევრ წარმატებას შეიძლება მიაღწიო".

შემდეგში უოლკოტი უშიშროების საზოგადოების ვიცე-დირექტორად აირჩიეს, სადაც ისევ არასრულწლოვანთა საქმე ჩააბარეს. უოლკოტი დღისით დაწესებულებაში მუშაობდა, საღამოს კი ისევ ქალაქის ქუჩებში მორიგე პოლიციელთა რაზმებს ჩამოუვლიდა ხოლმე. წარსულში პოპულარულმა სპორტსმენმა ახლაც დიდი სახელი დაიგდო თავისი ქალაქის მკვიდრთა შორის. სწორედ ამ აღიარებამ მოაპოვებინა შერიფის პოსტი.

მ. ბარამია.

◆ ჰელსინკი, 13 ივნისი. სსრ კავშირის ფეხბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მეოთხე ამხანაგურ მატჩშიც სძლია ფინეთის ეროვნულ გუნდს და ამით დაამთავრა ვიზიტი სუომის ქვეყანაში. მასპინძელთა ნაკრებმა ქალაქ ლოხიაში გამართულ მესამე შეხვედრაში მხოლოდ ერთი პარტიის მოგება შეძლო.

◆ ჰელსინგბორგი (შვეცია), 13 ივნისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში დიდი ინტერესი გამოიწვია ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენის ჩ. იზაქსონის (შვეცია) შეხვედრამ ევროპის ჩემპიონ ვ. ნორდვიგთან (გდრ). გაიმარჯვა შვედმა, რომელმაც 555 სმ გადალახა („სულ" 4 სანტიმეტრით ნაკლები მსოფლიო რეკორდზე). იზაქსონმა სამჯერ ამაოდ შეუტია 560 სმ სიმაღლეს. ნორდვიგმა წლევანდელ სეზონში პირველად გადალახა 540 სმ.

◆ კარაკასი, 13 ივნისი. ახალგაზრდა ვენესუელელმა მძლეოსანმა ფ. მატამ 100 მ 10,1 წამში გაირბინა. სპორტსმენს ზურგქარი „ეხმარებოდა", მაგრამ მისი სიჩქარე წამში სულ 1,5 მ იყო.

[illegible] ... $19^{45}$

## გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „რეკორდები" საკლესის მიზეზით დაშვებულია შეცდომა. მეორე აბზაცის მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: (62,40 მ) მოსკოველმა ე. გო- და შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04548